


საქართველო გელთვნიკა

ISSN 0132-1307

4

1988

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს
უკველთვიური ჟურნალი



74. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1974, გვ. 25; ე. გაბიაშვილის გამოკვლევების თანახმად რუის-ურბნისის კრება 1105 წ. შედგა (ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერა, თბ., 1978, გვ. 14—19).

75. ქართლის ცხოვრება, გვ. 304.

76. ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 146—147.

77. ქართლის ცხოვრება, გვ. 304.

78. ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

79. ქართლის ცხოვრება, გვ. 304. შემდგომი ისტორიული ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ამ ეპიზოდში სამუდამო დალი დასვა ყრმა მეფის ფსიქოლოგიას.

80. ქართლის ცხოვრება, გვ. 304—305.

81. იქვე, 305—306.

82. ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

83. თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 38—39, სურ. 23.

84. საფიქრებელია, რომ ეს დარბაზი იდგა სოფ. ძველატენში, იქ სადაც შემდეგ ორბელიანთა სასახლე აშენდა და ამჟამად კი სოფლის სკოლის შენობა დგას.

85. ქართული სამართლის ძეგლები, II. თბ., 1965, გვ. 20.

86. III. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб. 1959, с. 96—97.

87. ცნობილია, რომ განსხვავებით სიონის ინტერიერისაგან, რომელიც თითქმის (გარდა გუმბათის მცირე ნაწილისა) არ შეუქუთებიათ, ფასადებში არა ერთი რესტავრაცია განიცადა. უკანასკნელ საკითხს ჩვენ არ ვეხებით, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ სახელი „ბაგრატ“ სამ ლაბიარულ წარწერაში გვხვდება. ერთი წარწერა ამოკეთილია სამხრეთ ფსადზე ლამაზი ასომთავრულით და წითლად არის შეღებილი: „წ(მი)დ(ა)ო ღ(მ)თ [ისმშო] ბ (ე)ლო ა [დიდე] ბ(ა) გ (რა) ტ“. თ. ბარნაველი, მკვეთრად ათარიღებს ამ წარწერას XI ს. (თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 55, სურ. 32), გ. აბრამიშვილი კი X—XI სს. მიჯნით (გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტ. არქეოლ. ეთნოგ. და ხელოვ. ისტორიის სერია, № 1, თბ., 1976, გვ. 174, სურ. 3). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ წარწერაში მოხსენებულია მეფე ბაგრატ IV. მეორე წარწერა, მოთავსებული აღმოსავლეთ ფსადზე, სულ სხვა ხელთ არის შესრულებული, თუმცა მასაც გ. აბრამიშვილი X—XI ს. მიჯნის მიაკუთვნებს (იქვე, გვ. 171, სურ. 2): „ჟ. ესე კალაპირი მე, ბაგრატ შეექმენ“. ეს ბაგრატი შეიძლება ხუროდ მივიჩნიოთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იქაც მეფე ბაგრატ იგულისხმება, გაეხსენოთ, თუნდაც თვით გ. აბრამიშვილის მიერ დამოწმებული დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 13). მესამედ სახელი ბაგრატ დასავლეთის ფსადის წარწერაში გვხვდება. წარწერა აღარ იკითხება (თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60).

ს ა გ ჯ ო თ ა ს ე ლ ო მ ნ ე ჯ ა

№ 4
აპრილი
1988 წ.

რევაზ ინანიშვილი

ა ლ ა ლ ე

პიესა 15 სურათად

ბატონი. რაო, ეხლა რაღას ამბობს სოფელი?
მოურავი. სხედან და გიყვებიან იციანა ყველანი.

პირველი დადგმის უფლება ეკუთვნის თელავის
თეატრს

მოკმაფი პირნი

ალალე ჯიჰურიშვილი — ჰარმაგი მექანიზატორი,
ტრაქტორისტი

ღარო — ალალეს მეუღლე

თანანა — ალალეს დედა

წერიკო ბაშო — ალალეს მეზობელი, შინაბერა

მაღზახი — ალალეს და დაროს უმცროსი ვაჟი, მო-
ყვარული მოქანდაკე

ბრისბანი — ალალეს შვილიშვილი, 6 წლის.

ალალეს მამივი

თათიკო — ალალეს რძალი, ტრისტანის დედა

უპაია — მაღზახის ამხანაგი გოგო

აბრამ ჯიხარაძე — ალალეს კბილა კოლმეურნი

მანანა — აბრამის მეუღლე

ვეფხიანი — ამათ უმცროსი ბიჭი

იზოლდა — აბრამის შვილიშვილი, 6 წლის

ანაბლინა — აბრამის რძალი, იზოლდას დედა

მამა-შვილი — მიტა და რობიზონა კეთილშობილი

ღორღობალა ღათა — აბრამის მეზობელი, ბოხშიანი
გლეხი

სალოის ღირამბორი

საპაოს თაჰვაჯღორაძე

ალმასრულიშვილი

გილიციის რაჟუნაშვილი

დავლაგაძე კალი

უზაპიანი კაპი

სოფლის მოციქვევითა და მომღერალთა წრის წევ-
რები, ვიცი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ ყოველ სუ-
რათში ისმის მისი ყვირილი — მოვიდა დინგუა! და-
იმალენით, ქალბნო!

სოფლის მოყვანეთა და მომღერალთა წრის მე-
ცალინებო. გალაღებულნი უტრავენ მდოღუე და მე-
გარბონე, წრის წერებებიც ხალისიანად სცემენ ტაშს.
ალაღე ცეკვავს. ბუქნაში ამოღის. შივა ქალებთან,
თავის დახრით ვატივება ერთ ქალიშვილს წრეში.
ის ქალიშვილი სხვა ქალიშვილების უკან იმალუბა, ალ-
ღუე ახლა სხვას დაუხრის თავს, ისიც უარზეა, მესა-
სამეც თავს იკავებს.

ალაღე (თან ცეკვავს). არ მოგწინდით სუ არტი-
სტებო და ყოფნა, თქვე ჩასაქოლებო! ერთხელ ჩემის-
თანა მუშა კაცსაც გააშლევინეთ მხარი, ორშაბათს,
გათუნებისას, ტრაქტორსა ვქოქამ და ძირიანის ყმაი-
რების გასატებად მივდივარ, ორ კვირას მარტო უნ-
და ვიყო ქალის მგელივით. ორიოდე წუთი მეც გა-
მხარეთ თქვენში.

ამის თქმა და გამოდის ის პირველად დამალულ
გოგო და მცეკვება ალაღეს.

მდოღუე და მეგარბონე გიყოფენ.

გახარებულია ალაღე.

გოგოსაც სიცილი წასცდება და შეერევა წრეს.

ალაღეც ბუქნას ამთავრებს.

— სუყვედას შამოყველო ჩემი თხუთმეტკილო-
იანი თავი. შაბაში ვანგარძეთ ეხლა თქვენი საქმე.
მე მაშიდასთან წავალ.

მდოღუსთან მიდის, ქუდს მოხდის, წითელ თუშ-
ნიანს ამოსიდებს ქუდევეშ, ისეც დაახტრავს მდოღ-
უსს და თან კარგადაც ჩაფარებს მალიდან.

— ცეტო! ცეტო! — იძახის მდოღუე.

ალაღე ხელაწეული მიდის.

— წავიდე! წავიდე ჩემ ტბილ მაშიდასთან!
მდოღუე და მეგარბონე გამოსამშვიდობებელს უკ-
რავენ.

მეორე სურათი

ალაყაფის კარში შუქია დღას, ლამაზი გოგო. ალა-
ყაფის ჯეათა ბოძზე, მალხაზია მიყრდნობილი.

შუქია, სულ აკაკუნებ და აკაკუნებ. თანაც მალ-
ღა, თითქოს ციდან ჩამოდიოდეს შენი კაკუნის ხმა.

მალხაზი. ჰო, ვაკაკუნებ.

შუქია. მალღა მაინც რატომ? დაბლა არა გყოფ-
ნის ადგილი?

მალხაზი. არ მინდა, ყველაზე ცხვირი ჩამიყოს საქ-
მეში.

შუქია. ისეთ რას აკეთებ? არ შეიძლება ჩვენც ვი-
ცოდეთ?

მალხაზი. ღიდ პოეტს ვაუა-ფშაველს ვაქანდაკ-
ებ.

შუქია. უი, რა კარგია! ქუდიანსა თუ უქუდოსა?
მალხაზი. ქუდიანსა.

შუქია. ეგეთი რომ არის დაკოხილი?
მალხაზი. დაკოხილი რატომ? დაფიქრებული.

შუქია. ის გამოგეჩანდაკებინა, უქუდო, ირემივით
წყრაილა თვალები რომ აქვს!

მალხაზი. ის ძნელია.

მალხაზი. როგორ უნდა გითხრა... ძნელია იმ
წყრაილა თვალების გამოყვანა ხელნი.

შუქია. მე კი ის უქუდო ვაუა მიყვარს. იას უთ-

არით ტურფასა, მოვა და შეგვამს ციკო, ეგრე ამ-
ყად, ლამაზო, თავი რომ ავილიო.

მალხაზი. რა კარგი ხმა გავქვს, შუქი!
შუქია. თვალები? თვალები როგორი შეგვქვს!

მალხაზი. თვალები კიდევ უფრო კარგი.
შუქია. ვერც ჩემ თვალებს გამოაქანდაკებ?

მალხაზი. ვერა, შენ თვალებს ვერავინ გამოაქან-
დაკებს.

შუქია. ვერავინ, ვერავინ?
მალხაზი. ვერავინ.

შუქია. რო დავხუტო, აი, ასე?
მალხაზი. ეგრე შეიძლება.

შუქია. მაშინ დავხუტავ და აი, ასე გამოაქანდა-
კე; აი, ასე.

შუქია თვალებს ხუჭავს და აღარ ახელს. მალხა-
ზი უყურებს, უყურებს დაბნეული, წაიწყეს, თით-
ქოს უნდა გაბედოს და აეოცოსო, მაგრამ ისეც დი-
ხეებს უნა.

მალხაზი. ჭერ არ გინდა თვალების დახუტვა. ემ
მერე, მერე. ვაუა-ფშაველს რომ დავამთავრებ.

შუქია. არ გავახელ, როდისდა მერე, ვებრდები
ქალი.

მალხაზი. რა დროს შენი დაბერებაა, შუქი! გა-
ახილე! (წამწამებში ჰკიდებს ხელს და ძალით ახე-
ლინებს შუქიას თვალს).

შუქია. მათ! (ვითომ უნდა უტიზოს).

მალხაზი. რა უცნაური ხარ, შუქი!

შუქია. მამაშენი მოდის, გაიქეცი!

მალხაზი. გავიქეცივი.

შუქია. საოივეზე ადი და მაშინვე დააკაკუნე.
მსამოყვენებს კაკუნი რომ მესმის.

მალხაზი. დავაკაკუნებ, დავაკაკუნებ.

შუქია. ჩქარა, ჩქარა! არა, არა, სხვაგან გაუხვია.
მალხაზს აღარაფერი ესმის.

შუქია იცინის, იცინის, ნელ-ნელა იფარებს ალა-
ყაფის კარს.

ისმის ძხბილი: — მოვიდა დინგუა! დამაღლით
ქალბო!..

მესამე სურათი

ალაღეს პატარა სკამზე მჯდარი პატარა შავიომო-
სილი დედაბერი აუყვანია ხელში და წრიულად და-
ატარებს ზედადგარზე შედგმული ქვაბის ირვლივ.
მამიღა. დამსვი შე უუღღმართო, დამსვი, ბიჭო!
ალაღე. არ დავსვამ, აეგრე უნდა გატარო სულა!
მამიღა. დამსვი შე შეჩვენებულო, გული მიფრია-
ლებს.

ალაღე. მამიღას გულს ვენაცვალე მე. გულო, ნუ
შეგშინდება, გულო ჩაქვე ალაგასა.

მამიღა. დამსვი, ბიჭო, მიიწვა ქვაბმა.

ალაღე. თქვე პლასკაუბცი და დავსვამ.

მამიღა. პლაცკალუცკი, პლაცკალუცკი, დამსვი,
მიიწვა ქვაბმა.

ალაღე. რასა მხარშავ? პავიდლოსა თუ ჭემსა?

მამიღა. პამიღლასა, პამიღლასა.

ალაღე. ახლა ერთი ესაცა თქვი — ფუნისული-
ორო და დავსვამ.

მამიღა. ფუ, შე ენაქუტყუიანიო! მაგას არ ვიტ-
ყვი, ცეცხლში რომ ჩამსვა.

ალალე (უკვე ხარხარებს). კარგი, კარგი, დაგხვამ და ჩორი ჩურჩხელა გამომიტანე.
მამიდა, გამოგიტანე, გამოგიტანე.
ალალე, ნიგვესებში, თეთრები.
მამიდა, ზო, ნიგვესებებსა, გადააფურცა გული.
ალალე, შამილას გულს ენაცვალოს ალაღე. ორ-შაბათს ვქოქამ ტრაქტორს და მველივარ ძერძანის ხანხავდ. ორ კვირას ვეღარ განახავ.
მამიდას სკამიანად დასვაძს. დაიჩოქებს და თავს მკერდთან მიადებს.

მამიდა, შე ცეტო, შენ ხომ ასი წლისაც ეგეთ ცეტად უნდა დარჩე.

ალალე, ჩურჩხელებში პირობა პირობა!
მამიდა, ჩამიწყნარდეს ცოტა გული.
ალალე, გულო ნუ შეეფიხნდება, გულო ჩაქე აღავასა.

ისმის უპირილი: — მოვიდა დინგუა და მამაღე-ნით ქალებო!
ალალე, რა კარგია, შენზე ცეტაც რო გეგულდება ქვეყანაზე!

გეომთხე სურათი

სამი უსაქმური ბიჭი ზის გზის პირას, მესერის ძირში, ქვევზე. სამივეს სიგარეტი უქირავს. ახლა მათ წინა ჩაცუქული ალალე.

ალალე, გააბოღეთ, გააბოღეთ, ჩემი რად შეგ-არცხვით, კაცო!

ბიჭები მართლა გააბოღებენ.
ალალე, კიდეც გააბოღეთ, რა!

ბიჭები კიდეც გააბოღებენ.
ალალე (აღტაცებით). ვა, რა მაკრად გამოგდით, ე! ხელა თუ გინდათ ამერიკელებთან გახვალთ მწველების შეჯიბრზე.

პირველი ბიჭი. გავგიჟინე და გავალთ.
ალალე, გავსვაც არ გინდათ, ეგრევე ჩათვალეთ ჩემპიონებად თავები, მავაში ჩათვალეთ და უქანალოთ ქვების ხეხვაში. უქანალოთ ქვების ხეხვაში უფრო განადიდებულთ ვაქვთ ჩემპიონობა მსოფლიოში.

ისევ პირველი ბიჭი. ო, ერთი შენ ალაღე არ იყო...

ალალე, რაო, სხვა რო ვიყო, ნელლო, ი ღიბე რაო გადანგრეული და ღორები ბაღდაღურს უქ-ლიან თქვენ ვენახში, ორი კონა ძეძვი ვერ მოსქერი და ვერ დაადე! საწყალმა დედაშენმა უნდა მოგიკ-რას და იმან უნდა შეგიღობოს ისიცა?! ქვევრი ხომ გაგარცხათ და გაგიხიზათ კიდეცა! ან კიდეც შენა, დაუსტივენ, ზიზიოზე რა დაგიქვედათ თვალეზი, ქვების უქანალოთ ხეხვაში გამარჯვებისთვის მოცემეს გაიოზა, როგორა ფიქრობ?!
მესამე ბიჭი შუათანას ჩააფარებს თავში.

ალალე. შენც გეუბნები, ღები რომ უიღულოდენ შენთვის სიგარეტს საცოდობით, წამო რა, წამამეც ძერძანში, ხუთ მანეთზე მაინც გამოხვალ დღეში.

მესამე ბიჭი. აბა! ხუთ მანეთზე ჩაკველები მინ-დორში დღე და ღამე.

ალალე, ისხედით მამა და ხეხეთ ეს ქვები, დღე-ში ოც მანეთს მოგცემთ იაკოვა იმის ქვების ვაპრი-ალებში!

ისევ პირველი ბიჭი. ო, ალაღე ძია, შენ ალაღე არ იყო!..

ალალე, რაო, ვითომ მაშინ ძილში ხო არ ვი-სიმსხვეთ კისრები! აი, თუ გინდათ ქვე-ვიწათ ვიდობაში გადმოვით საათთაოდ, გინდათ ჩრუხში.. ადგილი, მოწყვლით აქედან მტრის განსრუქს შენც ნუ სხედხართ ზედ საკვეთს ვაზა? ვაჯეტი, მტ-წყვლით, თორემა... მოვიხსენი ქაშარი!

ბიჭები წამოცვივდებიან და უქან-უქან მიდიან.
ისევ პირველი ბიჭი. ოხ, შენ ალაღე არ იყო რა! შენ ალაღე არ იყო.

გეომთხე სურათი

ალალეს სახლ-კარი. ეზოში ზედაღარზე ქვაბი დგას. ქვაბს დარო დასტრიალებს დიდი ხის კოხზო. მოშორებით ზის მისი დედამთილი თანანა, ნიგვოს ქრის საჩურჩხლედ. სათიფეზე, მალა, მალახი აკა-ცუნებს.

შემოდის წეწიკო მამო.
წეწიკო. შეიძლება, ქალებო, თქვენთანა?
ღარო. ძაღლმა არ დაგლოჯოს ემად.

წეწიკო. რაა გუაათ, ქაა?!

ღარო. მოდი, მოდი.

წეწიკო. მართლა გუათ, ქალო, ძაღლი?
ღარო. ძაღლი არა, კოზაკიანი აქლემი.

წეწიკო. რა ვიცი, შემამინე კიკადა, გული გაუ-მიმიბრუნდა.

ღარო. აგე დერეთანაში წაუი, ჩამოისხი, დალიე და გაგიღის.

წეწიკო. ბაი, შენ ვინც არ გიცნობს.. შენა სულ უნდა გჩქიტოს და გჩქიტოს.

ღარო. სადა?
წეწიკო. ნუ გეშინიან. კიდე მოგეპოვება სამაგისო ფართი, (წეწიკო ხელს წაატანს დაროს).

ღარო. აეს ცხელი კოხვი არ გამოტყუო, გაიგე? წეწიკო ცოტა უქან დაიწევს და შორიდან გადა-ხედავს ქვაბს.

წეწიკო. პავიდედაა მხარშავ თუ გემად?

ღარო. დაროს ქირიც ეცა ბიბამეს და მეორეიც, რომ ამერც ძირნუარს იბარებს. აღარც ვეხედვიენ-ებს და მოკვევით ამოღენა რევითა, თან სულ დამ-წვარი და დაფუქული მაქვს ხელები ამოვარდნილი წინწყლებსგანა.

წეწიკო. ეცეს, ეცეს! მაგ დღეში არა ვართ უვე-ლანი? ამოღენა ვაშლი, ქალო, პავიდედათა და გემა-დე! (დაროს წეწიკო გამოართმევს კოხვს და ახლ-ის ურეცა). მკამელი მაინც იყოს თანანა.

დარო წელზე იღებს ხელს, იმარბობა, დაიხრება. წამოვა მოშორებით მკდარი თანანა სკამიანად, მოახლოვდება, ნიგვზთან ჯამს ისეც კალთაში ჩაიდამს და წეწიკოს აცივრდება.

თანანა. წეწიკო არა ხარ, გოგო?

წეწიკოს ცოტა სწყინს ეს «წეწიკო», უმამყოფი-ლოდ გადახედავს დაროს.

თანანა. ახალს რას გვეტყვი? რით გავახარებ, ქალო?

წეწიკო (ჩაუყვირის). დაუწყვითო — ღენო აღ-რარო, აღარც კორწილებში, აღარც ქელეტებშიო, მა-რტო ვწენიო. წვენი კიდეცა, მცოდნე ქალი ხარ, რამდენი მთარბობის მნახველი, წვენი კიდეცა მიუთავ იმ ქვე-ყანაში?

თანანა. რაო? როგორაო?



წაწიკო. ღვინო აღარაო, აღარც ქორწილებში აღარც ქალებში. მარტო წვინო, წვინო კიდევა მიუვათ იმ ქვეყანაში. შენ რას იტყვი, გამოცდილი ქალი ხარ, რამდენი მთავრობის მწახველი, მიუვათ წვინო იმ ქვეყანაში?

თანანან. არ მიუვათ.

წაწიკო. ნამდვილად იცა?

თანანან. ნამდვილად.

წაწიკო. ყოველ შემთხვევაში (ხმას დაუწევს, თან ჩქარა ამბობს) შენ ხომ მალე უნდა ჩახვიდე იქა, ჩახვალ თუ არა, მაშინვე შემოთავაღე, მისლით წვინი თუ არა. ჩახვალ თუ არა, მაშინვე!

წაწიკოს ისევ აღარ გამოართმევს კოვებს.

თანანან. როგორა, როგორა?

წაწიკო (თითქმის ჩაყვივრის ყურში). როგორა და ლაფანა, ქალები რომ გადაუხადა თავის სულაყროლებულ მამას, მეორე დღესვე მისულა საცოდავ კუჩინათან და აესე ღახდგოპია, შენი ესეო და ისეო, რო დამიჭეკი, გუშინ, საცა რო კაი ჩრდილი იყო და გადმოიწყე და გადმოიწყე ხაშუამის ლურთები, ის ხორცი რა, მუქთად მომცა ვინემმ, ფული რატო არ დასაციო.

თანანან. ფულიო?

წაწიკო. ჰო, ფულიო. შეწუხებულა კუჩინი, დაუწყია ტირილი, წასულა, ფეკონისთვის გამოურთვიანა თუმანი, მიუტანია და მიუცია ლაფანასათვის. ისე შეგერგოს ეს ფული, როგორც მე შემერგო ბოინიდან გამოტანილი თქვენი ხორცი, კუკი ამეშალა, ვკვდებიო. ლაფანას კიდევ არხეინად დაუკეცია ის თუმანი, ჩაუღვია და წასულა ახლა სვიმანასთან, ბრეტთან.

თანანან. ვისთანა?

წაწიკო. სვიმანასთან, ბრეტთან. იმასთანაც ეგრე, — ი სუფრის თავში რომ წამომეკიბე შემოწმებზე ჩამოსულვითა, ფული არ უნდა დაგედოე? მაგრამ ბრეცი მაგრა დასდგომია. მეო, წადი და ვისაც გინდა ჰკითხე (წაწიკო ხმას იწვრილებს, ბრეტს ბაძავს), ჩორცი მე არ მეჭამია და თევზი უკადე არავინ შემახვედრა. ხორცი რომ მეჭამა, მაშინვე შენ ამომვიღოდა, ლობიო გადმოვიდე ცოტა, შენც იცი, ექვსი წელიწადია ღვინისთვის პირი არ დამიკარებია, უღვიწოდ კიდევ, — ლობიო, წიწმბი, პატარა პური, ჰო, ნახევარი ბოთლი ბორჯომი, ჰაი, ჰაი, მანეთისა გამოვიდეს. აჰ, მანეთი დამიღვიაო. გამოურთმევია ის მანეთი ლაფანას, ისიც დაუცვია კობტად, ჩაუღვია და წამოსულა.

თანანან. ტყუილი უთქვამს ბრეტსა. მამ ხანი-ლადა არ შეხვდა, ან ჭოწრალი, ან ყველი, ან სათალის ნაკერი? მიწაში ჩასადებია ეგ ბრეცი, ტყუილი უთქვამს.

გასიმის ყვირილი:

— მოვიდა დინგუა! ქალებო, დაიმაღენით, მოვიდა დინგუა!

წაწიკო. მამ სუ ვერაფერი უშველეს მაგ საცოდავსა? მამ ისევ ეგრე უნდა იყვაროს სულა?

ღარო. ეგრე უნდა იყვაროს.

ჩაღლა სათივეზე ცოტა ჩაყურებული მაღხაზიც ისევ აღებს სატეხს და ისევ იწყებს კაცუნს

წაწიკო. ესაც ისევ აკაუნებს?

ღარო. აკაუნებს.

წაწიკო. რა უნდა გავაკეთოო, რას ვაკაუნებო?

ღარო. ვაჟა-ფშაველას აქანდაკებს.

წაწიკო. პოეტსა?

ღარო. ჰო.

წაწიკო. დიდი ბიკი არ ამირებს ჩამოსვლანა?

ღარო. რა ვიცი! ცეტები თავისუფლებს წინააღმდეგობას-შვილებიანათა.

თანანან. კაცები ყველანი ცეტები არიან... ჩემი პატრონისი ქმარი პირდაპირ ეკლესიაში, ჩემი თვლით დავინახე, ქალო, აუსვამს აესე რბილით ხელს ძილანათან ჭარიდან ჩამოუვანილ ქორცხან რაძლას და დაუსვამს, აუსვამს და დაუსვამს, ის კიდევ, ის ჩანდამწვარი, ვითომ არაფერიო, დგას. აჰ, იქ ხო არაფერს ვეტკოდი და რო მოვედიო შენა — მე ფეხს ვუჩინებდი, ჩემი ქმარი ზის, გოგონს თესლას ხლის ფეხზე. თან აქანწუნებს, მე დაკუსულა ვარ, ისე ვეუბნები, შე არ გასაშვებო, ეგრე გავგონო, ეკლესიაში, ყველას დასანახად, რო აუსვი და დაუსვი იმ ქორცხუნას ხელი-მეთქი. მეტი არაფერი ქალო! იმან კიდევ, ჩემმა ქმარმა, უთქმელად აიღო შენის ნაჭერი და დამცხო პირდაპირ თავში. გადავვარდი გულადმა თაფლად, იმან კიდევ, გოგონის თესლის კნაწუნი არ შეუჩერებია, ერთი ეგა ქნა, ფეხით მიმწია, ცეცხლი არ მომიკადებოდა, და სკამს ისევ არხეინდა გოგონის თესლას!

წაწიკო. ძალიან კარგად უქნია.

თანანან. როგორა?

წაწიკო (ჩუმად, რომ თანანამ კარგად ვერ გაიგოს) ძალიან კარგად უქნია.

ღარო წასგველემს წაწიკოს.

ღარო. ჩაიწყვიტე ხმა, მიწადასაყრელიო.

ისევ წაწიკო გამოართმევს კოვებს ღაროს. ახლა ის უკვებს ქვაბს.

ეხოში შემოდის პატარა ტრისტანი. ჩანთას სახლის დაბლითა მოაჩირზე დადებს.

ღარო. მოხვედი, ბებოს სიხარული? მოდი, გამახარე!

ტრისტანი დაკობილი, გაბოღმებული იყურება. მიბრუნდება და გაბრაზებული შევა დერეფანში. მოაჯირს მაღლიდან იყურება ისევ დაბოღმილი.

წაწიკო. რათ არის, ქალო, ეგეთ გუზნებებსა? ღაროს თავშეკავებით ეციენება.

ღარო. ჭოხარძიების იზოლდა უყვარს.

წაწიკო. უთქმ!

ღარო. გუშინ მეუბნება, ოქროს ბეჭედი მომეცი, იზოლდას უნდა მივუტანო, ისე არ გამომყვებო. რო გამომყვებს სად უნდა იყოთ მეთქი, შვილო. მაღხანის ოთახის კუთხეში შემოვლობავთ სკამებით და იქ ვიჭებოთო.

წაწიკო. შენი ჰირიმე, შვილო, შენი ჰირიმე! მერე, ან მივიტ ბეჭედი?

ღარო. არა.

წაწიკო. რა გითხრა შენა! მე მივცემდი.

შემოდის ალაღ. დაინახავს წაწიკოს და ხელემაწველი იყვირებს.

ალაღ. ამას ვის ვხედავ! ამას ვისა ვხედავ!

ღარო. ჩაიწყვიტე ხმა, თუ შენ წესიერად დაილაპარაკო როდესმე.

თანანან (თავისთვის). შენა, შენ ჩაიწყვიტეს ხმა.

ალაღ. როგორა გვეყვებარ, ძვირფასო მამო, ხომ კარგად! ხარ, როგორ გალამაზებულხარ, კაცს არ ენახები პირდაპირ!

წაწიკო. ეს კოვზი არ გამომტყუო შენა!

ალალე. რათა ქალო, ჭკვენის თვალთ, ღამაში
მეზობელი არ მირჩევნია მამახსა? ახალს რას გვე-
ტუე შენი ჭიკჭიკა ხშითა, აბა პა!
პირდაპირ მიწაზე დაქდება.
ღარო. არ გეყო, სოფლის ბაირალო, სუ ხო
ჩამოუვლილი ყვალასა?
ალალე (ყურას არ უვლდებს დაროს) აბა, პა, გის-
მენ.

წიწიკო. თუ გინდა შენთვის მითქვამს, თუ გინ-
და ტელევიზორში გამოვსულვარ.

ალალე. იმის დიმიტაურ-დემიტაური ვინც სიტ-
ყვა ღამის სხვაგან. ორშაბათს, გათენებისას ტრე-
ტორსა ექვამ და ძერინის ვადასაბრუნებლად მივ-
დივარ ორი კვირით. ვის რაღა უნდა ვუთხრა, აბა, პა!
ღარო დაძაბული უყურებს წიწიკოს.

წიწიკო (თითქოს დაროს ჭიბრით უფრო). ბაზარ-
ნიეს თურმე ისევ აღარ უწევება ცოლი. ადრე, თუმ-
ნად რომ გიწვევოდი, ადრე სხვა იყო, ახლა ფული
გაიზნდა, ოცდახუთი მანეთი მაინც არ უნდა ჩამო-
ხვიდეო. ამოდე ოცდახუთი მანეთი ბალახის ჭკვეშა
და მაშინო.

ალალე. გენაცვალე, ქალო! სწორეა ბაზარნიეს
ცოლი.

ღარო. აეს კოვზი არ გამოძეკუთ თქვენა, ორი-
ვემა!

წიწიკო. მე რათა, თვითონ მითხრა, პა!
ღარო. რომელმა?

წიწიკო. ბაზარნიემა.

ალალე. ან მე რათა, ჩემო სათნოვ! მუქთად რომ
უწყევბიან თავიანი ქმრებს, ის ქალები და ბაზარნი-
ის ცოლი ერთ ბარაში არიან ვამაყნი? მეტიც
კი უნდა გადაიხადოს ბაზარნიემა, ოცდახუთი მანე-
თი რა არი! ჯერ მარტო რა.. რა ლოყები აქვს ბაზა-
რნიეს ცოლსა!

ღარო. გიშაღლებო!
თანანან. შენა შენა!

ღარო. ადე შენი თოხუშისა. გადურწული არა
დავს და ხმას არ გვეცემს არავისა?!

ალალე. ვაიმე, მაგას ანეცვალოს პაპა! მოდი, პა-
პის სხიარულო, მოდი!

ტრისტანი დაკოხილო დვას, ადგილიდან არ იძვრის.
ალალე. არ მიეცი, ქალო, ბეჭედი?!

ღარო. ბეჭედს მივცემ მაგას შოგ უბაში! ეგ უა-
რესი გაიზრდება შენზე!

ალალე. მიუფრეთ ეხლა, მე მიუფრეთ.
ალალე წამოდება, ხალათს გაისწორებს და ღო-
ნეზრად გაბიჭებს.

წიწიკო. რაღაც სამამაძლოდ მიღის ეგა.
თანანან (თავისთვის). მამაძალიცა ხარ და უა-
რესი.

ღარო. ოღონდ კი შინიდან გავარდეს და თუნდა
ქალაქში ჩავა ფეხით.

თანანან. ყოჩაღა. მაგისი მამაც ეგეთი იყო, სუ
გარეთ უნდოდა ყოფნა. ცქრა ხეობის მახინჯს დაუ-
გურგურებდა, შინ კი ძალღვივთ იღრინებოდა და
ყუფდა.

წიწიკო. მე რიდასთვის მოვედი და ვდგავარ აქა,
რომ ვეღარ ვიგონებ! რა ღმერთი მიწურება, ქალო,
რიდაცისთვის მოვედი და ვეღარ ვიმიგონებია.

თანანან. კიდეც ერთი რაღაცა უნდა გეთქვა და არ
გითქვამს.

წიწიკო (ჯერ თანდას გადახედვის, მერე დაროს
შეამჩრდება) მამ კულიანი არ არის ეს გეზობე-
რია!.. რო წავალ, მერე გამახსენდება. უნდა წავიდე,
რომ გამახსენდეს..

გაჩქარებული მიღის. მოიპის ხმა: წიწიკოს
ხმისმიმართვა
— მოვიდა დინგუა! დამიგნით, ტახტქვეშ შე-
დვირით ქალებო!..

მეექვსე სპრამი

ჭოხარძეების ეზო. აბრამა და მინანა ეზოსი. მა-
ნანა დიდ ქვაბს დასტრიალებს კოვზით, აბრამა იქ-
ვე ახლოს ზის და საანგარიშოზე ანგარიშობს. მათი
რძალი, ანგელინა, მოაირჩე გადმოფენილ ლოგინს
და საფეხებს უტყავუნებს ჭოხს ალაღუს გამოჩენამ-
დე.

აბრამი. პავილათა მხარშამ თუ გემადა?
მინანა. პავილდის ჭირიც ეცეს და გემისაც ბიძ-
შენს, გამოხდის უფლება რომ მოეცა, ეგრე არ და-
მანულებოდა მკლავები.

აბრამი. გამოხდა აღარ შეიძლება.
მინანა. მოდი, ცოტაზე მაინც წამაშეეე ხელო,
კაცო!

აბრამი. ვერა ბხედავ, რომ ვანგარიშობ?
მინანა. რას ანგარიშობ?

აბრამი. რასა და შენ რომ ძალიან ჭკვიანი ქალი
ხარ, შენისთანა ჭკვიანი ცოცხლებში არ მეგულდება
არავინ. აი, რას ვანგარიშობ და რასა ვფიქრობ ეხ-
ლა მე. რომ შენზე ადრე მოვკვდე, გენა მინან, შენა
კაბაც დაგვირდება შავი, ტუფლიცა, მოსახვეიცა,
ჩულქიცა. კია ქალი ხარ, ქმრის პატივისცემული,
შენა პერანგიოცა შავი პერანგიო ივლი ქმარზე. რამ-
დენი გამოდის ეგა, რა დაქდება? ოცი თუმანი მა-
ინც სუ ცოტა. ისევ შენ რომ მოჰკვდე პირველად,
ისა სჯობია ჩვენი ოჯახისთვისა. შენ რა — ეს თქვის
ქული შავია, შარვალი — შავი, ფეხსაცმელიცა შავი.
ერთს ხალათს შევადებინებ შევადა სამშურთან სა-
ვლავში, დიდი-დიდი ექვსშურთანში და მორჩა, წა-
ვად ამებენი იოლასა. რას იტყვი, ეგრე სჯობია, თუ
არა? მოჰკვდები შენ პირველად?

მინანა. მოვკვდები, მოვკვდები.

აბრამი. გაბრაზებით რაღათა! ზითხარი ჭკვიანე-
რადა. შენ ხომ ძალიან ჭკვიანი ხარ, ტყუილად სო
არ არის მიწებებული შენი სურათი კოლექტივის
დაფაზე, თქვი ჭკვიანურად, ხომ მართალი ვარ, ხო
ეგრე სჯობია, ჯერ შენ რომ ნოჰკვდე, მერე მე.

მინანა. თანახმა ვარ, გენაცვალე აბრამ, თანახმა-
ვარ, ხომ გამოვივლი ეხლა ჭკვიანურად?

აბრამი. აი, ეგრე. ეხლა ამაზეც ვფიქრობ, იმ
დროს კი არ მოჰკვდე, ასი წლისა რომ იქნები და
მე კიდეც საოთხი წლიცა. ცოტა ისეთ დროს უნდა
მოჰკვდე, მე კიდეც შემძღვოს რაღაცეები, რომ მი-
ვიყვანო ერთი საჩემო ვინმე და ვიყვნეთ ჩვენთვისა.

მინანა. როგორ თქვენთვისა?
აბრამი. არც შეილები შევანუხოთ, არც შეილი-
შეილებო.

მინანა. კარგი, მაგ დროს მოვკვდები, თუ გინდა,
ხვალეც მოვკვდები.

აბრამი. არა, ხვალ რათა. ეს ამოდენა პავილდები
გაქ დასახარში, მერე ყურძენიცა წვენად უნდა აქ-

ცო სულა. ხვალ არა გენა, როცა კარგი დრო იქნება.

მანანა. კარგი, რომ იღრო, მითხარი შენა.

პბრამი. გეტყვი-

მალა ფანჯარში, ბიკი გამოკყოფს თავსა.

ვეფხვი. დედი დედი! რომელი რა ვეპო, ლო-ბოი თუ ხაშლაშისა?

მანანა. რომელია შენ მოგეწონოს, ისა ქამე, გეცავლე.

ვეფხვი. შენ მიხარო, შენა.

მანანა. ჭერ ლობიო ქამე ცოტა, მერე ხაშლაშა ბერი.

ვეფხვი. პური?

მანანა. პურიც მანდ არის ქა! თუ გინდა ყუ-ისა მოიტხე, თუ გინდა ფრჩხილისა.

ვეფხვი. ფრჩხილისა რომ არ მიყვარს?

მანანა. ყუისა მოიტხე, გენაცვალე, ყუისა.

ვეფხვი. ერთს არ მოგხედამენ ზედა...

ფანჯრიდან გაეა.

პბრამი. ხომ ხედავ, როგორ გემორჩლებით ყვე-ლანი შენა. ეხლა ერთი ესაც დამაროგე და მორჩა. შენ რომ მოკვდები, წელიწადს გიგლოვებ. წვერი მოუშვა?

მანანა. წვერი არა!

პბრამი. კარგი, წვერი არა ერთ წელიწადს გიგ-ლოვებ. გადაგიხდი კი წლისთავსა, დეკოხისა დაგი-კლამ, თევზისთვის მიგეჩაურში წავალ. ხოილადას ორჯონიკიდან ჩამოიტანს ბიკი. თამადად დორი-ალას დავაყენებ, კი ხმა აქვს.

მანანა. დორიალა არა!

პბრამი. კარგი. დორიალა არა, მაღალ გოგიასა ვიხოვ, სიარული უჭირს, მაგრამ მანქანით ჩამოვიყ-ვან. მერე, წლისთავის მერე, ერთი თვეცა და მერე მეც ხომ მიჩრდება პატრონი. როგორი ქალი მოვი-ყვან, აქედანვე დამაროგე, ჭკვიანი ქალი ხარ: მაღა-ლი, დაბალი, თხელი, ფერხორციანი, შავთვალი, ჭრე-ლთვალა, დაუყრგავლი თუ რა! რამდენი რამეა გა-სათვალისწინებელი. წინასწარ რომ ვიქნები დარი-გებელი, ხომ ეგობინება ჩვენი ოჯახისთვისა?

მანანა. თვალჭრელი არა, დაუყრვეტიც არა, ნამე-ტანი ფერხორციანიც არა.

პბრამი. ახლა... ისეთიც არ მიჩრიო, ქვეყანას არ აძახებინო, ეს რა საჩხრეკი მოუყვანია საწყალ მანანას ქმარს, მაგას შეაღია მანანამ თავისი სიცოცხლეო.

მანანა (გაცხარებული ურევს კოვებს) მე თვით-ონ ავიჩრევე წინასწარა. გაჩვენებ კიდევცა.

ისევე მოდგება ბიკი ფანჯარასთან.

ვეფხვი. დედი! დედი, ქალო!

მანანა. გისმენ, გენაცვალე, გისმენ.

ვეფხვი. საროქა რატო არ გამოუთოვე, ხო იცი, რომ დასვიდნაიზე უნდა წავიდე გოგოსთან საღამო-ზედა.

მანანა. გაგოუთოვე. გაგოუთოვე.

ვეფხვი. სად არი რო?

მანანა. შიფანერკის გვერდზე, სკამზეა გადაფე-ნილი.

ვეფხვი. აქეთ ვერ გალაფინე, თვალსაჩინოდა? მანანა. ჩვენ ბოდიში, ჩვენ ბოდიში, გენაცვალეთ თქვენა. მოდი ეხლა მანც მოურიც, კაცო, ცოტა. ხე-ლები წამერთვა.

პბრამი. ერთი რამე არ დაგავიწყდეს მხოლოდა,

თმა გრძელი უნდა ქონდეს, გრძელი და ხშირი, თან ხშირად უნდა იბანოს კვერცხის საწითო.

მანანა. არ დამავიწყდება, ამა, გამომართო კოვზი, თორემ წავიქეცი.

აბრამი აღგება, კოვზს გამოართმევს, უნებურად ურევს.

პბრამი. რა ღონე ნდომებია, ე! ვაა, რა ღონე ნდომებია!

მისისმი ყვირილი:

— მივიდა დინგუა! დამიძლიეთ ქალებო!..

შემოაბოტებს ალაღე, უყურებს აბრამს, იცინის. აბრამის რძალი ანგელისა ალაღეს დანახავს თუ არა, ბერტყალს თავს ანებებს და შინ შედის.

ალაღე. ვიპ, როგორ გაიღება ეს დედი კოვზი, აბრამ! როგორ უხდებით ცოლ-ქმარი ერთმანეთსა. მანანა რომ ზის და შენ კიდევ კოვზს ურევ აბრამ! ერთი კი თვორგარაფა ეხლა! ვიპ, როგორი კარგე-ბი ხარო, კაცო!

პბრამი. შენ რომ წყალი მოგაქვს ხოლმე დილა-ადრიაანდა და დარუას კიდევ ტკიბილდა სძინავს! შენ რომ ძროხას აგდებ ნახიში და დარუა ისევ ლო-გინში წევს!

მანანა. შენ რო პური მოგაქვს ხოლმე მაღაზი-იდანა?

ალაღე. ქვაბის მორევა მანც სხვაა. ემარე ძა-ლიან უხდებით ერთმანეთსა. პავილდაა მხარშამი, თუ ჭემდა?

გილოჯება გამომწვევად.

თქვენა, რა კენა, ხო არა გგონიათ, რომ თქვენც ცოტას ფხარშამთ ან პავილასა, ან ჭემსა. რა თავს იფასებთ, რა ოხრახუშებივით აქანავებთ თავებსა, რას აღარდიდებთ ჩვენს ტრისტანას? ჩვენითანა ოჯა-ხში შემოვიდეს თქვენი იზოლდა, მაღლობელნი არა ხარო?

პბრამი. რას აკაყუნებ შენ შენი ბიკივითა?

ალაღე. ვითომ არ იცით, ჩვენ ტრისტანას რომ უყვარს თქვენი იზოლდა, თქვენ იზოლდას კიდევ ჩვენი ტრისტანა, ერთსაც ეკუმშება ისედაც პატარა გული და მეორესაც. დასაწყუნებელი ვართ ჩვენა თქვენგანა? ავიყვან ეხლა, წავიყვან ჩვენთანა და ჩაე-სხამ სკამებით შემოლობილიშოა.

პბრამი. სად წაიყვან?

ალაღე. ჩვენთან.

პბრამი. ალაღე არა ხარ შენა?

ალაღე. ალაღე ვარ.

პბრამი. ცეტიკი ხარ, შენ არა ხარ? ცეტიკი გვიჩრდება ჩვენა?

ალაღე. ვინ უფრო ცეტიკა, მანან, ჭკვიანი ქალი ხარ, გვიხარო პირდაპირ, ვინ უფრო ცეტიკა ჩვენ ორში, მე თუ ეს, შენი აბრამა.

მანანა. შენ უფრო ცეტიკ ხარ. ეგეც ცეტიკა, აბ-რამი, მაგრამ შენ უფრო ცეტიკ ხარ.

ალაღე. მე, აბა, რითა?

მანანა. ეს ნელა დადის, შენ სულ დარბიხარ, ერთ წუთს აქა ხარ, მეორე წუთს სოფლის ბოლოში, შენი სიციტე ბარადღევითა ჩანს.

ალაღე. ვინ აცხობს მლაშე პურს, წყალს ბევრს დაგვაღვივინებს და მალე დავძლებითო, თქვენა თუ ჩვენა?

მანანა. ვინა ყიდულობს ერთი ნომრით პატარა ფესხაცემელს ცოლისთვის, თან ცოტას ივლის, თან

ტუფლიც გვიან გაუცდებოა, შენა თუ აბრამა!
ბბრამი. ჰო, ვინა უიდელოხს ერთი ნომრით უა-
ტრა ფეხსაცმელს ცოლისთვისა?

ალალე. ვახხა! თქვენ ფეხსაცმელზე ხმა ამოგე-
დებო? ალაღე იყო თუ დედიკოს აბრამა, ქა-
ლაქში რომ წავიდა, ჩუსტები რომ ჩამოიტანა თა-
ვისთვის, პატარები რომ მოუვიდა და დელას კი-
ნაღამ რომ სცემა, საწყალ თაფლო ძალოსა, მა ქა-
ლაქში რომ მივიდოდა, ჩემი ფეხის ზომა არ უნდა
გაგეტანებინა ჩხირითაო?! ვინ იყო ისა — ალაღე
თუ დედიკოს აბრამი.

ბბრამი. თქვენა! თქვენა! პირდაპირ არხის ცივი
წყლით რომ აკეთებთ ღვინოს! თევზები ვის გაუ-
ჩნდა ქვევრში?

ალალე. ჩვენ გავჩინდა?
ბბრამი. არა, ბიჭო, ჩვენა. ჩვენ არხი საღა გვაქვს.
ალალე. ვის ინლაურს მოსტუდა ახალწლის წინა-
დღეს ფეხი. და ვინ დაუარტახა ის ფეხი, მოურჩე-
ბაო, ჩვენა თუ თქვენა?

ალალე. მადლობა ბიჭი მაღლა ფანჯარასთან.
მანანა. ისეც მაგის მთქმელს ამოუწყდეს ფეხი-
ანებიცა და უფეხოებიცა.

ალალე. ეგრე!
ვეფხვი. დედი! დედი! მანან, ქალო!
მანანა. ჰო, რა გინდა კიდევ.
ვეფხვი. ქამარი საით მხრიდან უნდა გავუყარო
შარვალსა, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან?

ალალე. ააგ!
მანანა. როგორ — მარჯვნიდან თუ მარცხნიდან?
ვეფხვი. აესე, აი (ამოყუყუეკაღება, აჩვენებს),
აქეთ მხრიდანა, მარცხნიდანა, თუ მარჯვნიდანა?
ალალე. ააგ!

ბბრამი. რა ააგ! შენი დიდი ბიჭი არ იყო, საშო-
ვარზე რო ბრძანდება ეხლა, რკინები რომ გაატანა
მედეღმა, გაიქცა, გენა, წყაროს ნავში ჩააღბე ცო-
ტა და ისე მოიტანეო. რო წავიდა, ჩაყარა ნავში და
ელოდებოდა, დააღბესო.

ალალე. აქ კი გამტკნარდება, ვეღარაფერს იგონებს
ისეთს.

ალალე. მე ეხლა წავიყვან იზოლდასა და დამი-
დექით წინა მთელი ჭოხარძეები კაციან თავგებია-
ნაღა.

მანანა. ხელსაც ვერ ახლებ.
ალალე. თანხმობით წავიყვან, ვკითხავ, ვისთან
უნდა და ისე წავიყვან. ქალის უფლებბა, თქვენ ვისი
ტიკტომარები ხართ. იზოლდა! იზოლდა!

მანანა. არ გამოხვიდე, გოგო!
ალალე. იზოლდა! იზოლდა!
გოგონა გამონათდება, დარტყენილი გაჩერდება
იქვე სახლის წინ.

ალალე (ჩაუთუტდება წინ) ვისთან გირჩენია,
გენაცვალოს ალაღე პაპა, იზოლდა, ამ დაქვანულემ-
თან გირჩენია თუ ჩვენთან, ჩვენ კობტა ტრისტა-
ნასთან, ჩვენ კობტა სახლში, კობტა დიდი ტრაქტო-
რი რომ გვაყავ; რო დაექოქამ და ტრა-ტა-ტა-ტა-
ვუუ, რო ნიქვს ქვეყანა?

იზოლდა ხმას არ იღებს, თვალები კი აუტომციმი-
დება.

მანანა. შედი გოგო, შინა!
ალალე. ყმაწვილს ნუ უყვირი, გაიგე! აბა, ვის-
თან გირჩენია, იზოლდა, გენაცვალოს ალაღე პაპა,

ამითან ამ დაქვანულემთან თუ ჩვენთან, ჩვენ
კარგ სახლში, ჩვენ კობტა ტრისტანასთანა
იზოლდა ხმას არ იღებს, მარტო იღებენ
ბბრამი. რას გუბნებთ, გოგო, შენა
ალალე. რას ეუბნებით, გოგონა, ხომ არ იყვი-
რებს? დუმილი თანხმობის ნიშანიაო, წამოდი, გენა-
ცვალე ჩვენთან, წამოდი.

ალალე იზოლდას აიყვანს.
ბბრამი. გოგო!
მანანა. აზოლდა!
ალალე. თავი დაგვანებეთ, გაიგეთ, თავი დაგვა-
ნებეთ და თქვენ პავილდას მიხედეთ, მიიწო მოურე-
ვლობითა.

მანანა. გოგო, შე გასაქრობო!
ბბრამი. მაიკო ე, ცეტო, კაბა მაინც ჩაგვეციმენა,
სად მიგყავ მაგ ფართუყითა. თმა მაინც დაგვევარ-
ცნა.

მანანა. ფეხსაც კი არ იქნევს ეგ გასაქრობი, ხე-
დაე შენ მაგასა!
გამოვა რძალი საბერტყი ცოხით ხელში.
ანბელინა. საღ წაიყვანა მაგ ცეტმა?
მანანა. თავიანთხა, რძალაღა.

ანბელინა. გადარიგეთ ყველანი?
მანანა. ჰო, ააგ, აბრამაც თან მისდევს მშითაღა.
ანგელინა ტანზე დაიხედავს, ძველმანები აცვია.
ვალომსებული წევა სახლისკენ.
ისის ყვირილი:
— მოვიდა დინვა! დაიმადენით, ქალებო, მო-
ვიდა დინვა!

ანბელინა. ჩავიწყდეს ხმა! ყველას ჩავიწყდეთ
ხმა, თქვე ნადირებო, თქვე ბნელებო!

მეშვიდე სურათი

ისევ ჭიქურშივილები ეწო. ისევ ქვებს ურევს
დარო, იქვე ზის მისი დედამთილი თანაღა. მოაჯირზე
ახლა ამათ რძალს გადმოუფენია ლოგინი და ახლა
ის უზაბუნებს კაცსა. მაღლა, სათიფზე, კვლავ წყნა-
რად აკაკუნებს მალხაზო.

შემოალაგებს სახეგაბადრული ალაღე. ამაყად უჭი-
რავს ხელში იზოლდა. მოჰყვება უკან აბრამი, აბ-
რამს — ახალი შემომატებული დოღრილა დათა. დო-
ღრილა მღერის.

მოვდივართ, მოვგინარია, მოვგინავს დედალი ხო-
ხობიო...

ალალე. მოვედი! მოვედი! ტრისტანი ტრისტანი!
დარო. აი, ჩაიქოლეთ და ჩაიტიტეთ, თქვენა, თქვე
სოფლის ბერიებო, თქვე რაიონის მაიმუნებო!
სახეგაბრწყინებულმა ტრისტანმა ლამის მოიგოჯ-
ის ქვედა ტუჩი. — ალაღე გვერდით დაუსვამს იზო-
ლდას.

ალალე. აბა და იყავით ერთად! თალიკო, შენ გე-
ნაცვალე, მიხედე ეხლა შენ. შემოუღობეთ კუთხე
სკამებით და იყვენე ერთად კობტად.

დოდორილა. შაბერო!
დარო. ე, ყველაზე დიდი ბერიკ, ამ კოვზს ხომ
უურეთ ცხელსა? (დოდორილა პირზე იფარებს ხელს
და იყურება).

ალალეს რძალიც სასიამოვნოდ გამტკნარებულა.
სახეგაბრწყინებული უგურგურებს ბავშვებს.

თალიკო. მოდიო, მოდიო, გენაცვალო! მოდიო, ჩემო სიხარულებო!

ღარო. ეს ქვაბი არ მედგას აქა, ეს ქვაბი არ მედგას აქა!

ღორღრიალბ (უყურებს ბავშვებს და ისევ სიმღერას წამოიწყებს) წაუყვანეს თამარქალი აუხაზეთ-ში დიელოდა...

აბრაშო სახლის ბოძებს უწყაბუნებს ხელს, ამოწმებს, დამკვიდრებს ხომ არ არის.

აბრაშო, სუ ლისტენიებია, მაგრები.

თანანან (თვალბთან ხელმოტანილი). დორღიალა და აბრაშა არა ხართ თქვენა?

ღორღრიალბ. დორღიალა და აბრაშა ვართ.

თანანან. რა ქარმა გადმოგადლოთ, რა ქარმა.

ღორღრიალბ. მაყრები ვართ.

თანანან. როგორაო?

ღორღრიალბ. მაყრები ვართ, ქალის მაყრები, არა, ეს არა, ეს დიდი მოყვარვა.

ღარო. ხალად ნუ გასტურტუციდით, თქვე მართლა გასატურტუციდებლბო.

ალალეს მაგიდა მოაქვს და შუა ეწოში სდგამს.

ალალე. კვიანი ქალი ხარ და შენ რატომ ლაპარაკობ მაგეებსა? რამდენი დღეა დაღუღულები დადიან ერთიც და მეორეცა. იქნება რა აცრახავით იყოს მაგათი აეს ერთად ყოფნა ამ მურად წუთისოფელში? იქნება როგორ უფანცქალებთ, საყურებებით უტოკავთ პატარა გულბები?! შენ რათა ლაპარაკობ მაგ ცუდ-ცუდ რამეებსა.

თანანან (ისევ თავისს კითხულობს). როგორაო, ბიჭო, ვისი მაყრები ვართო?

ღორღრიალბ. ქალის მაყრები ვართ, ქალისა.

თანანან. მაღახას მოჰყავს?

ღორღრიალბ. პატარახა.

აბრაშო. დიდი მოყვარვ ვარ, კაცო, დამხვით ხალდე, ეგრე უნდა, დიდი მოყვარვის დახვედრა?

შემოდის წიწიკო.

წიწიკო. წავედი და მაშინ გამახსენდა, ქალო! ვა, თქვენი გამარჯობაც, მეზობლებო!

აბრაშო. კაი გამარჯობა წიწიკოსა.

წიწიკო. წიწიკოს მოგცემ მე შენა! წავედი, დარო, წავედი და მაშინ გამახსენდა — წითელი ძაფი უნდა მომცე ცოტა.

აბრაშო. როგორა გეყვებარ, მაშო! მაშოკო!

ღორღრიალბ. გალამაზებულხარ თუ წითელი გიხვია ლოყებზედა, წიწიკო.

წიწიკო (მხოლოდ დაროს გასაგონად) თქვენ დაგვარეთ ორივეს მიწა, რა უნდათ ქალო ამით აქა! მომცემ წითელ ძაფსა?

ღარო. მაქვს რომ მოგცე?

წიწიკო. რაღას მიწურები, ქალო!

ღარო. ამით ხელშია, ვერ უყურებ რა ამბავია ჩემს თავსა?

წიწიკო. რა ამბავია, ქალო?

ღორღრიალბ. მე მაყარი ვარ, აბრაშა მოყვარე.

წიწიკო. მაღახასა ნიწნავთ?

ღორღრიალბ. ტრისტანა დავნიშნეთ, პატარა, ტრისტანა. დავნიშნეთ აემით ოწოდლაქედა.

წიწიკო. სეტყვის ღრუბელამდე ახვედით თქვენი სიციტოა?

ალალეს სკამები მოაქვს და მაგიდას ირგვლივ უყობს.

აბრაშო (ჭლებს) ძლივს არ დამხვევს თოებმა!

ალალე. ეხლა აქვე, ხელდაქელა, გაგიშალოთ თუ რამე მოგვეძებება. მაშო, შენც მიეხმარე, შენ გენაცვალოს ჩემი თხოთმეტკილიანი თავი, მიეხმარე თალიკოს და დაროსა.

ღარო. რა გაგიშალოთ, არ შედის შენს ყურებშა, რომ ღვივის დაღევა აკრძალულია?!

ალალე. სული მოვიტანე. მიწაილი, ნიგოზა, მწვანოლი, პურის და... ღვიწო არა, ღვიწო არ დაგვეღევა. თქვენ ეგენი მოვიტანეთ. აბა, წიწიკო, უი მომიყვდა თავი, მაშო, ქალო, მარჯვე ხელი გაქვს. გავიშალოთ აქა. მე ჩაის კიქებს ნოფიტან და ჩაის კიდევ ქელოთა.

აბრაშო. ჩას ამბობ, ე, ჩაი რა — აქუსერები ვართ.

ალალე. ეგრეა, მე კანონის პატვიზმცეილა კაცი ვარ.

ღორღრიალბ. ჩას ამბობ, ე!

ალალე. ეგრეა.

ისმის ძახილი.

— მოვიდა დინგუა! დინგუა მოვიდა, დამიღეწით ქალებო.

მეგრე სურათი

სკოლა. სცენა ორად არის გაყოფილი. დირექტორის კაბინეტი შეიგნით და ვარტო. შეიგნით არიან: დირექტორი და მამა-შვილი კეთილშეიღობა — მიტა და რობიზონა, მეთო კლასელი ბეხლერი. ვარტო — გონარძიების რძალი ანგელინა. სანამ კეთილშეიღობა არ გამოვლენ, ანგელინა ნერვიულად გადის და გამოდის ვარტო, ხანდახან ფრთხილად შეადგებს კარს, შეიგნის იჭერბებება.

დირექტორი (რობიზონას). გაჩუმდი! კოლმეურნეობის სიმინდი გაყიდეთ, აღბუღი ფულით ღვიწო იყოდეთ და საწარმოო პრაქტიკის დროს, იქვე, უმცროსკლასელი ბავშვების ოვალწინ დასთვრით შენი ხელმძღვანელობით.

რობიზონა. არა, პატ...

დირექტორი. გაჩუმდი! მე მოქმევიენე ჭერი!

რობიზონა. ბეხლერმა უთხრა ერეკლე მეფესა...

დირექტორი. გაჩუმდი!

მიტა (რობიზონას) გაჩუმდი, ვირის გვერდო, გაჩუმდი!

რობიზონა. ეგრე ხო არ არი...

მიტა. გაჩუმდი, თორე წაგიგდე წიხლქვეშ.

რობიზონა მტრულად გადმოსვდას მიმას.

დირექტორი. ოო, შენა! დათრობაც არ იქმარეთ შენი მეთაურობით, კეთილშეიღობა. აქვე არ ამეღვენებ, რაცა ხარ! როცა თინა მასწავლებელი წამოგადგათ თავს ბუჩქებში დამაღულებს, შენა კეთილშეიღობა, იმასაც კი დააძაღე ღვიწო. მასწავლებელი, მოსწავლეები და ღვიწო ახალი დადგენილების დროს, ახალი დადგენილების ფონზე!

რობიზონა. არა, მასწ...

